ხშირად დასმული კითხვები საერთაშორისო დაცვის შესახებ

განახლებულია 2023 წლის ნოემბერში

სარჩევი

ვის შეუძლია მოითხოვოს საერთაშორისო დაცვა ესპანეთში? 2

სად შემიძლია წარვადგინო თავშესაფრის მოთხოვნაზე განცხადება? 3

შემიძლია თუ არა თავშესაფრის მოთხოვნა საზღვარგარეთიდან? 3

როგორ იწყება თავშესაფრის განცხადების წარდგენის პროცედურა? 3

ტელეფონზე დარეკვა უფასოა? 3

რა ენაზე უპასუხებენ ზარებს? 3

როგორ დავნიშნო შეხვედრა, თუ ესპანურ ენაზე არ ვსაუბრობ? 3

მივიღებ თუ არა დანიშნული შეხვედრის დადასტურებას? 4

რა ინფორმაციას მომაწოდებენ ტელეფონზე დარეკვის დროს? 4

რა მოხდება, თუ ვერ შევძელი დანიშვნა, რადგან ტელეფონით ვერ ვუკავშირდები, ან იმიტომ, რომ არ ვიცი ესპანური ენა და არ ვიცნობ ვინმეს, ვისაც შეუძლია ჩემთვის შეხვედრის დანიშვნა? 4

რას მოიცავს ინტერვიუ, რომლის გავლა მომიწევს პირისპირ შეხვედრის დღეს? 4

რა ბედი ეწევა საერთაშორისო დაცვის მოთხოვნის ნების გამოვლინებას განაცხადის სახით, რომელიც აქამდე გაიცემოდა ბარსელონაში? 5

შემიძლია თუ არა სხვა ადამიანისთვის ვიზიტის დანიშვნა ტელეფონით? 5

¿რა პროცედურები მიმდინარეობს თავშესაფარის მოთხოვნაზე განცხადების წარდგენის შემდეგ? 5

არის თუ არა პროცედურა კონფიდენციალური? 6

შემიძლია თუ არა ვისარგებლო ადვოკატის და თარჯიმნის მომსახურებით? 6

რის უფლებას მაძლევს საერთაშორისო დაცვის განცხადება? 6

შემიძლია გავავრცელო ჩემი განაცხადი საერთაშორისო დაცვის შესახებ ჩემს არასრულწლოვან შვილებზე? 6

რა სახის დოკუმენტს ავიღებ? 7

ვინ და როდის მიიღებს გადაწყვეტილებას ჩემს მიერ წარდგენილ განცხადებაზე? 7

რა სოციალურ სარგებელს მივიღებ? 7

როგორ შევიდე ამ პროგრამაში? 8

მაქვს თუ არა ოჯახის შემოერთების უფლება? 8

თუ მივიღებ საერთაშორისო დაცვას, ასევე მივიღებ მოქალაქეობას? 9

რა მოხდება, თუ ჩემს განცხადებას საერთაშორისო დაცვაზე უარყოფენ? 9

რა შემიძლია გავაკეთო თუ დუბლინის შეთანხმების მიხედვით დამაბრუნეს ესპანეთში? 9

თუ ჯერ კიდევ მაქვს შეკითხვები პროცედურის შესახებ, რა შემიძლია გავაკეთო? 9

ვის შეუძლია მოითხოვოს საერთაშორისო დაცვა ესპანეთში?

ყველა იმ პი რს, რომელმაც იძულებით დატოვა თავისი წარმოშობის ქვეყანა ან მუდმივი საცხოვრებელი ადგილი ან იმყოფებიან წარმოშობის ქვეყნის გარეთ და არ შეუძლიათ სამშობლოში დაბრუნება, არ იგულისხმება ეკონომიერი მიზეზები, შეუძლია მიმართონ საერთაშორისო დაცვას. საერთაშორისო დაცვა შეიძლება იყოს აღიარებული, როგორც ლტოლვილის სტატუსით, ასევე სუბსიდიარული დაცვის მიღებით.

კანონი 12/2009 ესპანეთში, რომელიც არეგულირებს თავშესაფრისა და სუბსიდირების დაცვის უფლებას, შეიძლება გადაწყდეს შემდეგში:

- ლტოლვილის სტატუსი ენიჭება ნებისმიერ პირს, რომელსაც აქვს დევნის შიში მის წარმოშობის ქვეყანაში, როგორიცაა: რასა, რელიგია, ეროვნება, პოლიტიკური შეხედულებები, მიეკუთვნება კონკრეტულ სოციალურ ჯგუფს, სქესი ან სექსუალური ორიენტაცია.
- სუბსიდიარული დაცვა ენიჭებათ იმ პირებს, რომლებიც ვერ დაბრუნდებიან თავიანთი წარმოშობის ქვეყანაში, რადგან აქვთ სერიოზული ფიზიკური ზიანის ან განადგურების რეალური რისკი, როგორიცაა: სიკვდილით დასჯა ან მისი აღსრულების საშიშროება, წამება ან არაადამიანური და ღირსების შემლახველი მოპყრობა, მუქარა, მისი სიცოცხლის ან მთლიანობის დარღვევის სერიოზული საფრთხე შიდა ან საერთაშორისო კონფლიქტის განურჩეველი ძალადობის სიტუაციიდან გამომდინარე.
- ჰუმანიტარული მიზნით ბინადრობის ნებართვის გაცემის შესაძლებლობა გათვალისწინებულია, მაშინ როდესაც: არსებობს სერიოზული დაავადება, რომელიც საჭიროებს სპეციალიზებულ სამედიცინო ჩარევას რაც წარმოშობის ქვეყანაში მიუწვდომელია, ან, როდესაც წარმოშობის ქვეყანაში გადაადგილება საფრთხეს უქმნის საერთაშორისო დაცვაზე განმცხადებელ პირს ან მის ოჯახს.

სად შემიძლია წარვადგინო თავშესაფრის მოთხოვნაზე განცხადება?

საერთაშორისო დაცვის მოთხოვნა შესაძლებელია სასაზღვრო პუნქტებში (პორტები, საერთაშორისო აეროპორტები, სახმელეთო საზღვრები) და ტერიტორიაზე: უცხოელთა ინტერნირების ცენტრებში (CIE), უფლებამოსილ პოლიციის განყოფილებებში, უცხოელთა ოფისებში და თავშესაფრის მაძიებელთა და ლტოლვილთა ოფისებში (OAR).

თქვენ უნდა დანიშნოთ შეხვედრა პოლიციის განყოფილებებში და იმიგრაციისა და თავშესაფრის ოფისებში პოლიციასთან, რათა დაიწყოთ საერთაშორისო დაცვაზე განაცხადის პროცედურა.

ბარსელონას პროვინციაში მცხოვრები პირების შემთხვევაში, შეხვედრის მოთხოვნა შესაძლებელია აღნიშნულ ტელეფონის ნომერზე Tel- 932 903 098 დარეკვით ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით, 8:30-დან 11:30-მდე.

შემიძლია თუ არა თავშესაფრის მოთხოვნა საზღვარგარეთიდან?

ესპანეთის თავშესაფრის მაძიებელთა კანონის გათვალისწინებით შესაძლებელია ესპანეთის ელჩებმა საზღვარგარეთ, ხელი შეუწყონ საერთაშორისო დაცვაზე განმცხადებლი პირის გადაადგილებას, პირმა რომელმაც მიმართა დიპლომატიურ წარმომადგენლობას მისი მოსალოდნელი ფიზიკური განადგურების საფრთხის მტკიცებით, იმის გათვალისწინებით, რომ პირი არ არის იმ ქვეყნის მოქალაქე, რომელშიც იმყოფება.

როგორ იწყება თავშესაფრის განცხადების წარდგენის პროცედურა?

ბარსელონას პროვინციაში მცხოვრები პირების შემთხვევაში, შეხვედრის მოთხოვნა შესაძლებელია აღნიშნულ ტელეფონის ნომერზე Tel- 932 903 098 დარეკვით ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით, 8:30-დან 11:30-მდე.

ტელეფონზე დარეკვა უფასოა?

არა. პოლიციასთან შეხვედრის მოთხოვნისთვის ტელეფონზე დარეკვა ფასიანია.

რა ენაზე უპასუხებენ ზარებს?

ზარებს ძირითადად ესპანურ ენაზე პასუხობენ.

როგორ დავნიშნო შეხვედრა, თუ ესპანურ ენაზე არ ვსაუბრობ?

თუ თქვენ გყავთ ამ ტერიტორიაზე მცხოვრები ნაცნობი, რომელიც ფლობს ესპანურ ენას, ამ ადამიანს შეუძლია დარეკოს შეხვედრის დასანიშნად, თუმცა თქვენ მოგიწევთ დარეკვის მომენტში დასწრება, რადგან მათ შეიძლება მოითხოვონ განსხვავებული ინფორმაცია თქვენს შესახებ, რომელიც იმ მომენტში თქვენვე უნდა მიაწოდოთ.

მივიღებ თუ არა დანიშნული შეხვედრის დადასტურებას?

არა. რადგან დანიშნული შეხვედრის დადასტურებას არ გამოგიგზავნიან, შეხვედრის დასამახსოვრებლად მოგიწევთ ჩაიწეროთ დანიშნული გასაუბრების დღე, დრო და ადგილი.

რა ინფორმაციას მომაწოდებენ ტელეფონზე დარეკვის დროს?

ტელეფონზე დარეკვის დროს ისინი დაგინიშნავენ გასაუბრების თარიღსა და დროს, ამ დღეს მოხდება საერთაშორისო დაცვის განაცხადის ფორმალიზება ესპანეთში.

ამასთანავე, გასაუბრების დანიშვნის დღეს შეგატყობინებთ საჭირო დოკუმენტაციის შესახებ:

- პასპორტის ზომის ფოტოები (6 ცალი).
- საიდენტიფიკაციო დოკუმენტაცია, თუ ეს შესაძლებელია.
- მტკიცებულებები წერილობით, თუ გსურთ წარმოადგინოთ იგი.
- მოთხოვნის დამადასტურებელი სხვა მტკიცებულებები. (ორიგინალები + 2 ეგზემპლარი).

რა მოხდება, თუ ვერ შევძელი დანიშვნა, რადგან ტელეფონით ვერ ვუკავშირდები, ან იმიტომ, რომ არ ვიცი ესპანური ენა და არ ვიცნობ ვინმეს, ვისაც შეუძლია ჩემთვის შეხვედრის დანიშვნა?

ამჟამად, დანიშვნის მოთხოვნის სხვა გზა არ არსებობს, ამ საქმესთან დაკავშირებით გირჩევთ SAIER-ში მოითხოვოთ იურიდიული რჩევა.

გარდა ამისა, თუ გსურთ საჩივრის შეტანა შეხვედრის დანიშვნის შეუძლებლობასთან დაკავშირებით, ამის გაკეთება შეგიძლიათ ომბუდსმენის (სახალხო დამცველი) აპარატის მეშვეობით Tel- 900 101 025 დარეკვით (ზარი უფასოა) ან ბმულზე გადასვლით: https://www.defensordelpueblo.es/tu-queja/01-description/.

რას მოიცავს ინტერვიუ, რომლის გავლა მომიწევს პირისპირ შეხვედრის დღეს?

გასაუბრების დღეს მოგეთხოვებათ პირადი და ოჯახური ინფორმაცია, თქვენი მოგზაურობის მარშრუტი და მიზეზები რის გამოც მიმართავთ საერთაშორისო დაცვას (გაქცევის მიზეზები). თქვენ მოგიწევთ დეტალურად და ქრონოლოგიურად ახსნათ და წარმოადგინოთ პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტები, (რომლებიც გაქვთ), აგრეთვე სხვა დოკუმენტები, რომლებიც დაადასტურებს თქვენს მოთხოვნას.

გასაუბრების ბოლოს მოგეცემათ საერთაშორისო დაცვის განაცხადის წარდგენის ქვითარი და აღებული იქნება თითის ანაბეჭდები, ამ მომენტიდან თქვენ ოფიციალურად ჩაითვლებით ესპანეთში საერთაშორისო დაცვის განმცხადებლად.

რა ბედი ეწევა საერთაშორისო დაცვის მოთხოვნის ნების გამოვლინებას განაცხადის სახით, რომელიც აქამდე გაიცემოდა ბარსელონაში?

ეს დოკუმენტი წყვეტს არსებობას ბარსელონას პროვინციაში და პოლიციასთან პირველი შეხვედრის დღეს უკვე გაიცემა ქვითარი, სადაც მითითებულია საერთაშორისო დაცვის შესახებ განაცხადის ფორმალიზება.

თუმცა, თუ თქვენ უკვე გაქვთ საერთაშორისო დაცვაზე ნების გამოხატვის განაცხადი გაკეთებული პოლიციასთან გასაუბრების გავლის მიზნით, ამ შემთხვევაში უნდა მიჰყვეთ დოკუმენტში მოცემულ მითითებებს.

თუ თქვენ გაქვთ სხვა პროვინციის მიერ გაცემული საერთაშორისო დაცვაზე ნების გამოხატვის შესახებ დოკუმენტი და გსურთ ამ პროცედურის გაგრძელება ბარსელონას პროვინციაში, ეს დოკუმენტი არ გამოგადგებათ და მოგიწევთ პროცედურის ხელახლა დაწყება პოლიციაში ვიზიტის დანიშვნით, შემდეგ ნომერზე Tel- 932 903 098 დარეკვით. იმ შემთხვევაში, თუ გსურთ შეინარჩუნოთ უკვე დანიშნული შეხვედრა, უნდა მიჰყვეთ დოკუმენტში მოცემულ მითითებებს.

შემიძლია თუ არა სხვა ადამიანისთვის ვიზიტის დანიშვნა ტელეფონით?

დიახ, მაგრამ დაინტერესებული პირი უნდა იყოს თქვენთან, რადგან მოგთხოვთ მათ შესახებ ინფორმაციას იმის დასადასტურებლად, რომ ისინი ნამდვილად ესწრებიან შეხვედრის დანიშვნას.

¿რა პროცედურები მიმდინარეობს თავშესაფარის მოთხოვნაზე განცხადების წარდგენის შემდეგ?

ფაზა 1. განცხადების მიღება განსახილველად.

თუ OAR -ი ერთი თვის განმავლობაში დაუკავშირდება განმცხადებელ პირს, ეს ნიშნავს, რომ მათი მოთხოვნა არ იქნა მიღებული, თუ ერთი თვის განმავლობაში არ მოხდა განმცხადებელ პირთან დაკავშირება, ეს მოთხოვნა ჩაითვლება როგორც მიღებული განსახილველად.

იმ შემთხვევაში, თუ თქვენ წარადგინეთ განცხადება სასაზღვრო პუნქტზე, შესაბამის ორგანოს ოთხ დღემდე აქვს უფლება გადაწყვიტოს მიიღებს თუ არა განსახილველად თქვენს მოთხოვნას.

ფაზა 2. ინსტრუქცია.

თუ თქვენი განცხადება მიიღეს განსახილველად, მაშინ OAR-ის მიერ მოხდება მისი ღრმად შესწავლა.

ფაზა 3. რეზოლუცია.

განცხადების შესწავლის შემდეგ მიიღებთ შეტყობინებას საბოლოო გადაწყვეტილების შესახებ.

გახსოვდეთ, რომ ევროკავშირის წევრი ქვეყანა, სადაც თქვენ პირველად ჩახვალთ პასუხისმგებელია საერთაშორისო დაცვის პროცედურის განხილვაზე მაგალითად, თუ თქვენ შეხვედით ევროკავშირის სხვა ქვეყანაში ესპანეთიდან, მაშინ ამ ქვეყანაში ანუ ესპანეთში უნდა წარადგინოთ განცხადება.

არის თუ არა პროცედურა კონფიდენციალური?

დიახ, ყველა პროფესიონალი რომელთანაც თქვენ გექნებათ გასაუბრება, (ოფიციალური პირები, პოლიციის თანამშრომლები, თარჯიმნები, ადვოკატები და ა.შ.) ვალდებულნი არიან დაიცვან, როგორც თქვენი მონაცემების კონფიდენციალურობა, ასევე მთლიანად რასაც თქვენ ამხელთ.

მნიშვნელოვანია იცოდეთ, რომ არასოდეს ეცნობება თქვენი წარმოშობის ქვეყნის მთავრობას თქვენი განცხადების შესახებ.

შემიძლია თუ არა ვისარგებლო ადვოკატის და თარჯიმნის მომსახურებით?

დიახ, თავშესაფრის მაძიებელთა და საერთაშორისო დაცვის განმცხადებელ პირებს აქვთ უფასო, როგორც იურიდიული მომსახურეობა, აგრეთვე თარჯიმნით სარგებლობის უფლება.

ბარსელონას ქალაქის სამმართველოს აქვს ინმიგრანტების, ემიგრანტებისა და ლტოლვილების სამსახური (SAIER), სადაც თქვენ მიიღებთ კონსულტაციას საერთაშორისო დაცვის განცხადების წარდგენის მიმართულებით.

SAIER -ში ვიზიტის დანიშვნას შეძლებთ ამ ბმულზე გადასვლით.

რის უფლებას მაძლევს საერთაშორისო დაცვის განცხადება?

საერთაშორისო დაცვის მოთხოვნეზე განმცხადებელ პირს აქვს უფლება დარჩეს ესპანეთის ტერიტორიაზე ლეგალურად განცხადების საბოლოო რეზოლუციამდე, უკან გაბრუნებისა და ქვეყნიდან გაძევების ნებისმიერი პროცედურა შეჩერებულია, პირს აგრეთვე აქვს უფლება მიიღოს იურიდიული და სამედიცინო მომსახურეობა, სახელმწიფო მიმღებ პროგრამაზე წვდომა და საერთაშორისო დაცვის აპლიკანტის დოკუმენტაცია.

შემიძლია გავავრცელო ჩემი განაცხადი საერთაშორისო დაცვის შესახებ ჩემს არასრულწლოვან შვილებზე?

თუ საერთაშორისო დაცვის პროცედურა ჯერ არ დაგიწყიათ, უნდა დარეკოთ პოლიციასთან შეხვედრის მოთხოვნის დანიშვნის მიზნით და უნდა გამოხატოთ სურვილი ჩართოთ თქვენი არასრულწლოვანი შვილები თქვენს საიდენტიფიკაციო მონაცემებში.

თუმცა, თუ თქვენ უკვე გქონდათ შეხვედრა პოლიციასთან და თქვენი განაცხადი განხილვაშია, თქვენ მოგიწევთ მოითხოვოთ ახალი შეხვედრა, რათა ჩართოთ ისინი ამ პროცესში.

რა სახის დოკუმენტს ავიღებ?

გასაუბრების დასრულების შემდეგ გადმოგეცემათ საერთაშორისო დაცვაზე წარდგენილი განცხადების ქვითარი, ეს გახლავთ დოკუმენტი, რომელიც განგსაზღვრავთ თქვენ, როგორც საერთაშორისო დაცვაზე განმცხადებელ პირს, ამ დოკუმენტს აქვს ერთი თვის ხანგრძლივობა, რომელიც შეიძლება გაგრძელდეს კიდევ 8 თვით.

ეს გახლავთ შუალედური დოკუმენტი და ამავდროულად გრძელდება თქვენს მიერ წარდგენილი განცხადების განხილვა, გასაუბრებიდან ექვსი თვის შემდეგ ეს დოკუმენტი იძლევა მუშაობის უფლებას.

ცხრა თვის შემდეგ მოგიწევთ მისი განახლება და გადმოგეცემათ წითელი ბარათი, ეს დოკუმენტი გცნობს თქვენ, როგორც საერთაშორისო დაცვის განმცხადებელს და გაძლევთ საშუალებას იყოთ და იმუშაოთ ესპანეთის ტერიტორიაზე ერთი წლის განმავლობაში, ეს გახლავთ შუალედური დოკუმენტი და ამავდროულად გრძელდება წარდგენილი განცხადების განხილვა.

მოქალაქეობის არმქონე სტატუსის ანუ აპატრიდი განმცხადებელ პირებს აქვთ მწვანე დოკუმენტი ფოტოსურათით და უცხოელის პირადობის ნომერი (NIE), მაგრამ არ აქვთ მუშაობის უფლება.

თუ თქვენ მიმართავთ საერთაშორისო დაცვას ესპანეთის სახელმწიფოს სხვა პროვინციაში, ბარსელონას გარდა, შესაძლებელია, რომ პირველი შეხვედრის შემდეგ გადმოგეცეთ საერთაშორისო დაცვის შესახებ განაცხადის წარდგენის ნების გამოხატვა, რომელშიც მითითებული იქნება გასაუბრების თარიღი თქვენი განაცხადის ფორმალიზებისთვის.

ვინ და როდის მიიღებს გადაწყვეტილებას ჩემს მიერ წარდგენილ განცხადებაზე?

ესპანეთის მთავრობა ერთადერთი კომპეტენტური ორგანოა თავშესაფრის მაძიებელთა და ლტოლვილობის საკითხებში, ამას წყვეტს ესპანეთის შინაგან საქმეთა მინისტრი, თავშესაფრის მაძიებელ და ლტოლვილთა მინისტრთაშორისი კომისიის (CIAR) წინადადებით.

რა სოციალურ სარგებელს მივიღებ?

ესპანეთის მთავრობას აქვს საერთაშორისო და დროებითი დაცვის მიღების სისტემა, რომელიც არის სოციალური მზრუნველობის პროგრამა და განკუთვნილია იმ ადამიანებისთვის, რომლებიც ეძებენ საერთაშორისო ან დროებით დაცვას და რომლებსაც არ აქვთ ფინანსური რესურსები ძირითადი საჭიროებების დასაფარად.

მნიშვნელოვანია გვახსოვდეს, რომ ეს არის სახელმწიფო მიმღები დაწესებულება, სადაც განსათავსებელი ადგილები მოიცავს მთელ ესპანეთის ტერიტორიას და ეს არის ესპანეთის მთავრობა, რომელიც გაანაწილებს ამ ადგილებს, იმის და მიუხედავად, თუ სად დაიწყეთ საერთაშორისო დაცვაზე განაცხადის პროცედურა.

როგორ შევიდე ამ პროგრამაში?

სახელმწიფო მიღების სისტემაზე წვდომისათვის აუცილებელია საერთაშორისო დაცვაზე განაცხადის იურიდიული პროცედურის დაწყება, ამის შემდეგ თუ თქვენ ცხოვრობთ ბარსელონას პროვინციაში და გყავთ სოციალური წარმომადგენელი, რომელიც იზრუნებს თქვენს საქმეზე, თქვენ უნდა სთხოვოთ მას, რომ მიმართოს წითელ ჯვარს, რომელიც მდებარეობს მიმღებ და დერივაციულ ცენტრში (CREADE), როგორც ამ პროვინციის მიღების სისტემაზე წვდომის მმართველი ორგანო.

იმ შემთხვევაში, თუ თქვენ არ იღებთ სოციალურ დახმარებას თქვენს ტერიტორიაზე არსებული რომელიმე მომსახურეობის ან ორგანიზაციისაგან, მაშინ შეგიძლიათ პირადად წახვიდეთ CREADE-ში, რომელიც მდებარეობს ბარსელონაში Calle Sant Fructuós, 80, 8:30 საათიდან 13:30 საათამდე, ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით.



მაქვს თუ არა ოჯახის შემოერთების უფლება?

დიახ, იმ შემთხვევაში თუ საერთაშორისო დაცვაზე თქვენი მოთხოვნის საბოლოო პასუხი დადებითი იქნება (ლტოლვილის სტატუსი ან სუბსიდირების დაცვა).

პირებს, რომლებსაც შეუძლიათ ისარგებლონ ოჯახის შემოერთებით შეიძლება იყვნენ: მეუღლე, პირველი ხარისხის აღმავლები (დედა, მამა) და პირველი ხარისხის შთამომავლები არასრულწლოვნები (შვილები) დამოკიდებულების დამტკიცების წარმოდგენით, აგრეთვე ოჯახის სხვა წევრები, იმ პირობით, თუ

საკმარისად იქნება დასაბუთებული მათთან დამოკიდებულება და თანაცხოვრება მის წარმოშობის ქვეყანაში.

თუ მივიღებ საერთაშორისო დაცვას, ასევე მივიღებ მოქალაქეობას?

არა, მაგრამ თუ თქვენ მიიღებთ ლტოლვილის სტატუსს, მოქალაქეობაზე წვდომის პერიოდი მცირდება და შეგიძლიათ მოითხოვოთ ხუთ წელიწადში.

რა მოხდება, თუ ჩემს განცხადებას საერთაშორისო დაცვაზე უარყოფენ?

ამ შემთხვევაში, თქვენ შეგიძლიათ გაასაჩივროთ უარი ადმინისტრაციული ან სასამართლო გზით. გასაჩივრების პროცედურის დაწყების შემთხვევაში, შეგიძლიათ აიღოთ ახალი დოკუმენტი: „უფლების გაგრძელების ქვითარი გასაჩივრებით“, რომელიც უნდა მოითხოვოთ პოლიციაში.

ამისთვის, თქვენ უნდა მოითხოვოთ შეხვედრა სახელმწიფო ადმინისტრაციის ელექტრონულ გვერდზე ("POLICIA- EXPEDICIÓN/RENOVACIÓN DE DOCUMENTOS DE SOLICITANTES DE ASILO"). ახალი დოკუმენტი მოქმედებს ცხრა თვის განმავლობაში და აგრძელებს იმ სარგებელს, რომელიც თქვენ გქონდათ, როგორც საერთაშორისო დაცვის განმცხადებელი.

თუ თქვენ გაქვთ შეკითხვები და ცხოვრობთ ქალაქ ბარსელონაში, შეგიძლიათ მიხვიდეთ SAIER-ში, მისამართზე calle Tarragona, 14, რათა გაეცნოთ ვარიანტებს და დაგეგმოთ შეხვედრა ადვოკატთან.

რა შემიძლია გავაკეთო თუ დუბლინის შეთანხმების მიხედვით დამაბრუნეს ესპანეთში?

თუ დუბლინის შეთანხმების მიხედვით სხვა ქვეყნიდან დაგაბრუნებენ ესპანეთში, აეროპორტში მიიღებთ დოკუმენტს, რომელშიც მითითებული იქნება, რომ თქვენ უნდა წახვიდეთ პოლიციის განყოფილებაში ჩამოსვლიდან 72 საათის განმავლობაში, რათა დაიწყოთ საერთაშორისო დაცვის პროცედურა ესპანეთში.

თუ ჯერ კიდევ მაქვს შეკითხვები პროცედურის შესახებ, რა შემიძლია გავაკეთო?

თუ თქვენ ცხოვრობთ ქალაქ ბარსელონაში, გირჩევთ მოითხოვოთ იურიდიული კონსულტაცია, რათა მიიღოთ შესაბამისი მითითებები. შეგიძლიათ დანიშნოთ შეხვედრა SAIER-თან შემდეგ ბმულზე: https://ajuntament.barcelona.cat/cita/saier.

თუ თქვენ ცხოვრობთ ბარსელონას გარეთ, თქვენ უნდა მიმართოთ მერიას, თქვენთვის ხელმისაწვდომი იურიდიული რჩევის მისაღებად.